

ქართული

როგორც მეორე ენა



ნათია მანია, გიორგი ჭაუჭიძე,
ნინო ჭანკვეთაძე, ნონა არევაძე-კოტორაშვილი,
ნონა მიქელაძე, ია რობაქიძე



სულაკაურის
მამოსეაშობა

მოსწავლის წიგნი

გრიფინიჭებული საქართველოს განათლებისა და მეცნიერების
სამინისტროს მიერ 2021 წელს.

სარჩევი

თავი 1	უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერ!	4
თავი 2	დო რე მი ფა სოლ ლა სი	20
თავი 3	სიძნელეების პირისპირ	34
თავი 4	კუნძულები და კუნძულოვანი სახელმწიფოები	58
თავი 5	ჩემი თავგადასავალი	78
თავი 6	სკოლა და ბავშვები	97

უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერ

დავალება 1. უპასუხე შეკითხვებს:

ა. რას აკეთებენ თითოეულ ფოტოზე გამოსახული სპორტსმენები?

ბ. რომელია შენთვის ნაცნობი სპორტის სახეობა?



ცურვა

1



მშვილდოსნობა

2



ტანვარჯიში

3



მძლეოსნობა

4



ძალოსნობა

5



კალათბურთი

6



შაში

7



ჭადრაკი

8



ფარიკაობა

9



კრივი

10



ძიუდო

11



ჭიდაობა

12



სათხილამურო სპორტი

13



ველოსპორტი

14



15

ჰოკეი



16

წყალბურთი



17

ჩოგბურთი



18

ფრენბურთი



19

რაგბი

სავარჯიშოები 2-3 შეასრულე რვეულში.

დავალეა 4. უპასუხე შეკითხვებს:

1. სპორტის რომელი სახეობა მოგწონს?
2. რატომ მოგწონს სპორტის ეს სახეობა?
3. უყურებ სპორტულ გადაცემებს? რომელს?
4. რომელი სპორტსმენი მოგწონს?
5. დადიხარ რომელიმე სპორტზე? რომელზე?
6. თამაშობ რომელიმე სპორტულ თამაშს? რომელს?

გრამატიკა

დავალეა 5. წაიკითხე გრამატიკული ბლოკი და უპასუხე შეკითხვას.

ფეხბურთ-ელ-ი	მო-რაგბ-ე	ძიუდო-ისტ-ი	მშვილდ-ოსან-ი
ხელბურთ-ელ-ი	მო-ჭადრაკ-ე	ჰოკე-ისტ-ი	ძალ-ოსან-ი
კალათბურთ-ელ-ი	მო-კრივ-ე	ველოსიპედ-ისტ-ი	მძლე-ოსან-ი
წყალბურთ-ელ-ი	მო-ჭიდავ-ე		
ჩოგბურთ-ელ-ი	მო-ფარიკავ-ე		
ფრენბურთ-ელ-ი	ტან-მო-ვარჯიშ-ე		
	მო-შაშ-ე		

რომელი აფიქსებით იწარმოება სპორტსმენების სახელები?

სპორტი

სპორტი უძველესი დროიდან არსებობს. ის უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს ადამიანის ცხოვრებაში. სპორტი ეხმარება ადამიანს იყოს ძლიერი, ჭკვიანი, აქტიური, მიზანდასახული, პრინციპული, შრომისმოყვარე და სამართლიანი.

სპორტი – ეს არის ჯანსაღი ცხოვრების წესი. ადამიანი, რომელიც მისდევს სპორტს, იცავს რეჟიმს და ბევრს ვარჯიშობს, არის ჯანმრთელი. როგორც წესი, სპორტსმენები არ „მეგობრობენ“ თამბაქოსა და ალკოჰოლთან; სწორად იკვებებიან და კარგად გამოიყურებიან.

სპორტი უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს არა მხოლოდ სპორტსმენებს, არამედ გულშემატკივრებსაც.

განასხვავებენ სპორტის ინდივიდუალურ და გუნდურ სახეობებს. მაგალითად, ძალოსნობა არის ინდივიდუალური სახეობა, ხოლო კალათბურთი – გუნდური.

სპორტის სახეობები მრავალგვარია. არსებობს:

- სათამაშო სახეობები: კალათბურთი, ხელბურთი, ფეხბურთი, ჰოკეი;
- ზამთრის სახეობები: სათხილამურო სპორტი, ჰოკეი, ბიატლონი;
- საწყლოსნო სახეობები: ცურვა, აფროსნობა, წყალში ხტომა, კანოე;
- ორთაბრძოლები: კრივი, ჭიდაობა, ძიუდო, ფარიკაობა;
- მაგიდის სახეობები: მაგიდის ჩოგბურთი, ჭადრაკი, შაში.

სპორტის ყველა სახეობა თავისებურად ლამაზი და საინტერესოა. თითოეულ სახეობას თავისი გულშემატკივარი ჰყავს.

■ გულშემატკივარი ადამიანი, რომელიც მხარს უჭერს რომელიმე სპორტულ გუნდს ან სპორტსმენს და უხარია მისი გამარჯვება.

■ ანიჭებს აძლევს.

შეკითხვები:

1. რა მნიშვნელობა აქვს სპორტს ადამიანის ცხოვრებაში?
2. შენი აზრით, რას ნიშნავს: „იცავს რეჟიმს“?
3. სპორტის როგორი სახეობები არსებობს?
4. ვის ანიჭებს სპორტი სიამოვნებას, თავად სპორტსმენების გარდა?

16. კომპლექსური დავალება

ისაუბრე თემაზე: „სპორტი ჩემს ცხოვრებაში“. საუბრისას უპასუხე შეკითხვებს:

1. რა მნიშვნელობა აქვს სპორტს ადამიანის ცხოვრებაში?
2. დაკავებული ხარ თუ არა სპორტის რომელიმე სახეობით?
3. ხშირად უყურებ თუ არა სპორტულ თამაშებსა და შეჯიბრებებს?
4. რომელ გუნდს გულშემატკივრობ?
5. გიყვარს თუ არა ფილმები ორთაბრძოლების შესახებ?
6. ვინ არის შენი საყვარელი სპორტსმენი? სადაურია ის? სპორტის რომელ სახეობაში ასპარეზობს?
7. ხომ არ იცნობ რომელიმე სპორტსმენს შენი კუთხიდან? ისაუბრე მის შესახებ!
8. რომელი სპორტული თამაში გიყვარს?
9. თამაში გირჩევნია თუ ყურება?
10. შენი მეგობრები თუ არიან სპორტით დაკავებული?
11. ესწრები თუ არა მათ თამაშებსა და შეჯიბრებებს?
12. კიდევ რას იტყვი სპორტის შესახებ?

საუბრის შემდეგ დაფიქრდი:

1. როგორ შეასრულე ეს დავალება?
2. რა დაგეხმარა გაბმულად საუბარში?
3. რა იყო რთული?
4. რა უნდა გაითვალისწინონ შენმა კლასელებმა ამ დავალების შესრულებისას?

ოლიმპიური თამაშები



ოლიმპიური ალამი.
შექმნა პიერ დე კუბერტენმა, საერთაშორისო
ოლიმპიური თამაშების დამაარსებელმა.



ანტიკური ხანის ოლიმპიური ბადროს
მტყორცნელი




ბადროს მტყორცნელი ოლიმპიადაზე, 2016 წელი

ალბათ ნანახი გაქვს ეს დროშა ტელევიზორში ან ინტერნეტში. დროშაზე გამოსახული სიმბოლო – ხუთი გადაჯაჭვული რგოლი – თანამედროვე ოლიმპიური თამაშების ემბლემაა. რგოლები სიმბოლურად აღნიშნავს ხუთ კონტინენტს: ევროპას, აზიას, აფრიკას, ამერიკასა და ავსტრალიას.

ოლიმპიური თამაშები უძველესი სპორტული შეჯიბრებაა. მისი სამშობლო ძველი საბერძნეთია. ოლიმპიური თამაშები ძველ საბერძნეთში არამარტო სპორტული, არამედ რელიგიური დღესასწაულიც იყო.

პირველი დიდი ოლიმპიადა ჩვენს წელთაღრიცხვამდე 776 წელს საბერძნეთში, ქალაქ ოლიმპიაში, გაიმართა. ამიტომაც ჰქვია შეჯიბრებას „ოლიმპიური თამაშები“. ძველ საბერძნეთში ოლიმპიურ თამაშებს შორის დროის ინტერვალი 1417 დღე იყო და ძველი ბერძნები იმ დროს წელთაღრიცხვასაც ოლიმპიადების მიხედვით ანგარიშობდნენ.



ასე გამოიყურება ქალაქ
ოლიმპიის ნანგრევები
დღეს.



საინტერესოა ის ფაქტი, რომ უძველეს ოლიმპიურ თამაშებში მხოლოდ მამაკაცები მონაწილეობდნენ და ისინი შიშვლები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. სტადიონზე მისული მაყურებლებიც მხოლოდ მამაკაცები იყვნენ. ქალებს იქ შესვლა ეკრძალებოდათ.

ოლიმპიური თამაშები დღემდე ყველაზე პოპულარული სპორტული შეჯიბრებაა. მასში მონაწილეობენ უძლიერესი სპორტსმენები მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყნიდან – როგორც ქალები, ასევე მამაკაცები. ოლიმპიური ოქროს მედლის მიღება ყოველი პროფესიონალი სპორტსმენის ოცნებაა.

ოლიმპიადის უმთავრესი მიზანი არის სპორტისა და ჯან-სალი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია. ეს შეჯიბრება ხელს უწყობს სხვადასხვა ქვეყნის ახალგაზრდების გაცნობას, მეგობრობასა და მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცებას.

ოლიმპიადას აქვს თავისი წესები. თანამედროვე ოლიმპიური თამაშების წესები 1894 წლის პარიზის საერთაშორისო კონგრესზე მიიღეს. საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტიც მაშინ ჩამოაყალიბეს.

პირველი საერთაშორისო ოლიმპიადა 1896 წელს საბერძნეთში გაიმართა, ოღონდ არა ქალაქ ოლიმპიაში, არამედ ქვეყნის დედაქალაქ ათენში. მას შემდეგ ოლიმპიური თამაშები ყოველ 4 წელიწადში ერთხელ იმართებოდა, თუ არ ჩავთვლით მსოფლიო ომების პერიოდს და კოვიდ-19-ის პანდემიას.

პირველ მსოფლიო ოლიმპიადაზე მხოლოდ მამაკაცმა სპორტსმენებმა მიიღეს მონაწილეობა. ქალი სპორტსმენები ოლიმპიურ თამაშებში 1900 წლიდან მონაწილეობენ. ამჟამად ოლიმპიური თამაშების პროგრამაში 28 ზაფხულისა და 7 ზამთრის სპორტის სახეობა შედის. მომავალ ოლიმპიადაზე კიდევ 5 სახეობა დაემატება.

ოლიმპიური თამაშების დევიზია: „უფრო სწრაფად, უფრო მაღლა, უფრო ძლიერ!“.

- იმართება ტარდება
- ხელს უწყობს ეხმარება
- მონაწილეობს სხვებთან ერთად არის რაიმე საქმეში
- ჩამოაყალიბეს დააარსეს, შექმნეს
- გადაიტანეს სხვა დროს დანიშნეს
- განმტკიცება გაძლიერება
- პროფესიონალი სპორტსმენი სპორტსმენი, რომლისთვისაც სპორტი პროფესიაა
- მსოფლიო მთელი დედამიწა, მთელი დედამიწის
- საერთაშორისო ბევრი ქვეყნისთვის საერთო

დავალება 19. უპასუხე შეკითხვებს:

1. რა არის ოლიმპიური თამაშები?
2. რომელი ქვეყანაა ოლიმპიური თამაშების სამშობლო?
3. რა არის ოლიმპიური თამაშების სიმბოლო?
4. როდის არ შეეძლოთ ქალებს ოლიმპიადაში მონაწილეობის მიღება?
5. თქვენი აზრით, რამდენად სამართლიანი იყო ეს წესი?

გრამატიკა

დავალება 22. დააკვირდი და უპასუხე:

1896 – ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი

1896 წელი – ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი წელი

1896 წელს – ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი წელს

1896 წლის – ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი წლის

1896 წლიდან – ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი წლიდან

1896 წლიდან – ათას რვაას ოთხმოცდათექვსმეტი წლამდე

2 წელიწადში – ორ წელიწადში

3 წელიწადში – სამ წელიწადში

- სად აქვს და სად არ აქვს რიცხვით სახელს ი დაბოლოება?

სავარჯიშო 23 შეასრულე რვეულში.

გრამატიკა

დავალება 24. წაიკითხე ყურადღებით:

ზმნიზედა

ზმნიზედა არის უცვლელი მეტყველების ნაწილი, რომელიც დაერთვის ზმნას.

- ზმნიზედა აღნიშნავს მოქმედების ადგილს: *სად? – იქ; სად? – აქ; სად? – მაღლა.*

„აქ“, „იქ“, „მაღლა“, „დაბლა“ – ადგილის ზმნიზედებია და დაესმის კითხვა სად?

- ზმნიზედა აღნიშნავს მოქმედების დროს: *როდის? – ამჟამად; როდის? – მაშინ; როდის? – მერე; როდის? – პირველად.*

„ამჟამად“, „მაშინ“, „მერე“, „პირველად“ – დროის ზმნიზედებია და დაესმით კითხვა როდის?

- ზმნიზედა გვიჩვენებს, როგორ, რა ვითარებაში ხდება მოქმედება: როგორ? – სწრაფად; როგორ? – ნელა; როგორ? – ძლიერად.

„ნელა“, „სწრაფად“, „ძლიერად“ – ვითარების ზმნიზედებია და დაესმის კითხვა როგორ?

- ზმნიზედა გვიჩვენებს, რამდენჯერ ხდება მოქმედება: რამდენჯერ? – ერთხელ; რამდენჯერ? – ორჯერ; რამდენჯერ? – ასჯერ.

„ერთხელ“, „ორჯერ“, „ასჯერ“ ზმნიზედებია და დაესმით კითხვა რამდენჯერ?

- კითხვითი სიტყვები: „სად“, „როდის“, „როგორ“, „რამდენჯერ“ ასევე ზმნიზედებია.
- ზოგჯერ ზმნიზედა დაერთვის მეორე ზმნიზედას ან ზედსართავ სახელს:

უფრო სწრაფად, ძლიერ მალლა, ძალიან ძლიერად
უფრო სწრაფი, ძლიერ მაღალი, ძალიან ძლიერი

აქ ზმნიზედები „უფრო“, „ძლიერ“, „ძალიან“ დაერთვის ზმნიზედებს – „სწრაფად“, „მალლა“, „ძლიერად“ და ზედსართავ სახელებს – „სწრაფი“, „მაღალი“, „ძლიერი“.

მიაქციე ყურადღება!

ვითარების ზმნიზედა და ზედსართავი სახელი არ უნდა აგერიოს ერთმანეთში. ვითარების ზმნიზედა უცვლელია და უკავშირდება ზმნას; ზედსართავი სახელი იბრუნვის და უკავშირდება არსებით სახელს.

ვითარების ზმნიზედა

კარგად არის

სწრაფად დარბის

ძლიერ უყვარს

ზედსართავი სახელი

კარგი ადამიანი

სწრაფმა მატარებელმა

ძლიერ სპორტსმენს



დავლება 30. უყურე ვიდეოჩანაწერს და უპასუხე შეკითხვებს:

სპორტის რომელ სახეობაში ასპარეზობს ეს სპორტსმენი?

1. როგორ ფიქრობ, რომელ ქვეყანას წარმოადგენს ის?
2. რატომ ფიქრობ ასე?
3. შენთვის ნაცნობია ეს მელოდია?

დავლება 31. წაიკითხე ტექსტი და უპასუხე შეკითხვებს:

როგორ გახდა სალომე ფაჟავა პოპულარული გოგონა ერთ დღეში და რატომ ცეკვავენ უცხოელი მსაჯები ხალიჩაზე მისი გამოსვლის დროს

10.08.2015

ინტერნეტჟურნალი „old.tbilisebi.ge“
ჟურნალისტი ნონა დათეშიძე

ბაქოში, პირველ ევროპულ ოლიმპიურ თამაშებზე ქართველმა ტანმოვარჯიშებმა, 17 წლის სალომე ფაჟავამ, რაჭულ მელოდიაზე შესრულებული ნომრით ნამდვილი ფურორი მოახდინა – მიუხედავად უძლიერესი კონკურენციისა, სპორტულ ტანვარჯიშში, სპორტის ამ ურთულეს სახეობაში, ბრინჯაოს პრიზიორი გახდა. მისი გამოსვლის ვიდეომ სოციალური ქსელი დაიპყრო და საგზურიც მოიპოვა რიო-დე-ჟანეიროში საასპარეზოდ.

სალომე ფაჟავა: ათი წელია, მხატვრულ ტანვარჯიშზე დავდივარ. ამ სპორტისთვის საკმაოდ გვიან, 7 წლიდან დავიწყე ვარჯიში. თან არ მქონდა მონაცემები, არ ვიყავი „რბილი“, რაც ამ სპორტს სჭირდება. უბრალოდ, ვიყავი ცელქი და სპორტული. მაშინ რუსეთში ვცხოვრობდით და დედაჩემის მეგობარმა რომ მნახა, როგორი ცელქი ვიყავი, დედას უთხრა, ეს ბავშვი ისეთ სპორტზე შეიყვანეთ, რომ ვარჯიშით დაღალდონო (იცინის).

პირველივე დღეს მიხვდები, რომ მხატვრული ტანვარჯიში ჩემია და მომიწია ყველაფრის ათვისება და კეთება. სახლში იმავს ვაკეთებდი, რასაც დარბაზში: ვვარჯიშობდი, ვხტუნავდი, მალაყებზე გადავდიოდი...

მწვრთნელები თუ წინასწარმეტყველებდნენ მომავალში შენს ასეთ წარმატებებს?

მწვრთნელებს ძალიან მოვწონდი ჩემი მოუსვენრობის და აქტიურობის გამო. დედაჩემი კი მეუბნებოდა: არ გაქვს მონაცემები, რად გინდა, ტყუილად კარგავ დროს, ამ სპორტს მაინც არ გაჰყვებიო. მაგრამ ბებიას დავყავდი ჩუმად. ეს მოსკოვში ხდებოდა, მე იქ ვარ დაბადებული და გაზრდილი.

2008 წელს კი, რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, ჩემი ოჯახი თბილისში დაბრუნდა და აქ განვაგრძე ვარჯიში. 11 წლის ვიყავი, საქართველოს ჩემპიონატზე რომ გამოვედი. მაშინ შემამჩნიეს და ამიყვანეს საქართველოს ნაკრებში. საქართველოს ნაკრებში მოხვედრამ უდიდესი სტიმული მომცა – დავინყე სერიოზული, ყოველდღიური მზადება გაცდენების გარეშე და პირველივე შეჯიბრებაზე ბულგარეთში მეორე ადგილი ავიღე. ეს პირველი სერიოზული წარმატება იყო.

მიმაჩნია, რომ მხატვრული ტანვარჯიში ლამაზი სპორტია, თუმცა, კოლოსალურ შრომას მოითხოვს. საყურებლად ლამაზია, მაგრამ ვარჯიშის დროს ყველა კუნთი იჭიმება და გაუსაძლისი ტკივილები იცის. მე თვითონ სამი წელია, ტრავმა მაქვს.



სალომე ფაჟავა



სუბიშვილების ანსამბლი

ესე იგი, როცა ბაქოში გამოსველი ხალიჩაზე ევროპულ ოლიმპიურ თამაშებზე და, ცეკვა-ცეკვით, რაჭულის ჰანგებზე ასრულებდი სპორტულ ილეთებს, მაშინაც ტრავმა გქონდა?

დიახ, მაგრამ გამაყუჩებლები მქონდა გაკეთებული. ხალიჩაზე რომ დავდექი და მუსიკა ჩაირთო, ტკივილი საერთოდ აღარ მახსოვდა. არ დავნებდი და ბოლომდე, ფინალამდე გავედი. რაჭულ მელოდიაზე გამოსვლამ ბაქოში დიდი წარმატება – მესამე ადგილი და სახელი მომიტანა. მერე კი ვეუბნებოდი მწვრთნელებს: აი, რომ ვამბობდი, ყველაფრის მიუხედავად გავიმარჯვებდი, არ გჯეროდათ, მაგრამ ხომ დავამარცხე ტკივილი-მეთქი (იცინის).

ვინ შეგირჩია გამოსვლისთვის რაჭული მელოდია?

თავიდან მწვრთნელებმა რომ მითხრეს, რაჭულზე უნდა გამოსვიდეო, ვიფიქრე, ეს როგორ უნდა შევძლო-მეთქი? მაგრამ ხალხს მოსწონს ქართული ელემენტები – ცეკვა და კულტურა – თუნდაც სპორტში. ვუყურებდი „სუხიშვილების“ გამოსვლებს, იქიდან ვიღებდი ილეთებს და დღედაღამ რაჭულს ვცეკვავდი, სანოლშიც კი (იცინის).

2016 წელს ოლიმპიური თამაშები რიო-დე-ჟანეიროში ტარდება და ახლა მთლიანად იმაზე ვარ გადართული. სხვათა შორის, იმდენად მოსწონთ „რაჭული“, რომ, შეიძლება, იქაც ეს წავიღო. უნდა ნახოთ, მე რომ ხალიჩაზე გამოვდივარ, უცხოელი ჟიურის წევრები ადგილზე ცეკვავენ (იცინის).

ქართული მელოდიებით როცა გამოვდივარ, დიდი დოზით ილვიძებს ჩემში გენეტიკა და ტემპერამენტი. მინდა, სპორტის ამ სახეობაში ვიყო პირველი ქართველი გოგო, რომელსაც მსოფლიო გაიცნობს.

■ ათვისება შესწავლა

■ მწვრთნელი მასწავლებელი სპორტის რომელიმე სახეობაში

■ ნაკრები საუკეთესო სპორტსმენების ჯგუფი

■ ილეთი მოძრაობა ცეკვის ან ვარჯიშის დროს/ ცეკვის, ვარჯიშის ელემენტი

■ წინასწარმეტყველება წინასწარ თქმა იმისა, რა მოხდება მომავალში

■ გამაყუჩებელი წამალი, რომელიც ტკივილს ხსნის ან ანელებს

■ ტრავმა ორგანიზმის დაზიანება

■ „სუხიშვილები“ ქართული ცეკვის ანსამბლი

1. რა ჟანრისაა მოცემული ტექსტი?
2. სად და როდის არის ის გამოქვეყნებული?
3. რა არის ტექსტის სათაური?
4. ვის შესახებაა მოცემული ტექსტი?
5. ვინ სვამს შეკითხვებს?
6. ვინ პასუხობს?

გრამატიკა

დავალბა 36. დააკვირდი:

უ-დიდ-ეს-ი – ძალიან დიდი

უ-ძლიერ-ეს-ი – ძალიან ძლიერი

უ-რთულ-ეს-ი – ძალიან რთული

დადებითი ხარისხი

უფროობითი ხარისხი

დიდი

უდიდესი

ძლიერი

უძლიერესი

რთული

ურთულესი

სავარჯიშოები 37-38 შეასრულე რვეულში.

გრამატიკა

დავალბა 39. ყურადღებით წაიკითხე:

დრო – წარსული

მწკრივი – უწყვეტელი

უწყვეტელი გამოხატავს წარსულში რამდენჯერმე მომხდარ მოქმედებას.

უწყვეტელი = ანმყოს + დ/ოდ

პირველ და მეორე პირში უწყვეტელს ასევე ემატება სუფიქსი ი

ანმყო	უწყვეტელი	ანმყო	უწყვეტელი
რას ვშვრები/ რას ვაკეთებ?	რას ვშვრებოდი/ რას ვაკეთებდი?	რას ვშვრები/ რას ვაკეთებ?	რას ვშვრებოდი/ რას ვაკეთებდი?
მე ვცეკვავ	მე ვცეკვავდი	მე მოვწონვარ	მე მოვწონდი
შენ ცეკვავ	შენ ცეკვავდი	შენ მოსწონხარ	შენ მოსწონდი
ის ცეკვავს	ის ცეკვავდა	ის მოსწონს	ის მოსწონდა
ჩვენ ვცეკვავთ	ჩვენ ვცეკვავდით	ჩვენ მოვწონვართ	ჩვენ მოვწონდით
თქვენ ცეკვავთ	თქვენ ცეკვავდით	თქვენ მოსწონხართ	თქვენ მოსწონდით
ისინი ცეკვავენ	ისინი ცეკვავდნენ	ისინი მოსწონს	ისინი მოსწონდა

ანმყო	უნწყვეტელი	ანმყო	უნწყვეტელი
რას ვშვრები/ რას ვაკეთებ?	რას ვშვრებოდი/ რას ვაკეთებდი?	რას ვშვრები/ რას ვაკეთებ?	რას ვშვრებოდი/ რას ვაკეთებდი?
მე გადავდივარ	მე გადავდიოდი	მე ვეუბნები	მე ვეუბნებოდი
შენ გადადიხარ	შენ გადადიოდი	შენ ეუბნები	შენ ეუბნებოდი
ის გადადის	ის გადადიოდა	ის ეუბნება	ის ეუბნებოდა
ჩვენ გადავდივართ	ჩვენ გადავდიოდით	ჩვენ ვეუბნებით	ჩვენ ვეუბნებოდით
თქვენ გადადიხართ	თქვენ გადადიოდით	თქვენ ეუბნებით	თქვენ ეუბნებოდით
ისინი გადადიან	ისინი გადადიოდნენ	ისინი ეუბნებიან	ისინი ეუბნებოდნენ

როგორც ხედავ, ანმყოში და უწყვეტელში ზმნასთან შეწყობილი სახელების ბრუნვები არ იცვლება: მოქმედი პირი (სუბიექტი) მუდამ სახელობით ბრუნვაში დგას:

ის გადადის – **ის** გადადიოდა; **ის** ეუბნება – **ის** ეუბნებოდა

ასევე არ იცვლება ობიექტის ბრუნვა, ის მუდამ მიცემით ბრუნვაში დგას:

სალომე ცეკვავს რაჭულს თამაზი უყურებს ფილმს
სალომე ცეკვავდა რაჭულს თამაზი უყურებდა ფილმს

სავარჯიშოები 40-48 შეასრულე რვეულში.

გრამატიკა

დავალბა 49. დააკვირდი:

- სალომე ბაფთით ვარჯიშობს.
- ტანმოვარჯიშე ასევე გურზებით ასპარეზობს.
- სპორტსმენი რთული პროგრამით წარდგა მაყურებლის წინაშე.

-ით მოქმედებითი ბრუნვის ნიშანია.

სახ.	ნომერი	ბაფთა
მოთხ.	ნომერმა	ბაფთამ
მიც.	ნომერს	ბაფთას
ნათ.	ნომრის	ბაფთის
მოქ.	ნომრით	ბაფთით

დავალბა 1.

ა. ნაიკითხე:

იცი თუ არა, რომ მუსიკას თავისი ანბანი აქვს?

ამ ანბანს ნოტები ჰქვია. მუსიკაში სულ 7 ნოტია. თითოეულს თავისი სახელი აქვს და ასე წარმოითქმის:

დორემიფასოლლასი

ნოტები სპეციალურ, ხუთხაზიან რვეულში იწერება და ასე გამოიყურება:



2.01

ბ. უყურე ვიდეორჩანანერს და დაასახელე თითოეული ნოტი.

სავარჯიშოები 2-3 შეასრულე რვეულში.

დავალბა 4. დააკვირდი ფოტოებს და ისაუბრე:

1. ხელოვნებასთან დაკავშირებული რომელი პროფესიის წარმომადგენლები არიან ფოტოებზე?
2. ხელოვნებასთან დაკავშირებული რომელი პროფესია მოგნონს რატომ?
3. როგორ ფიქრობ, შენი მომავალი პროფესია ხელოვნებასთან იქნება დაკავშირებული? რატომ ფიქრობ ასე?
4. როგორ ფიქრობ, რისთვისაა საჭირო ხელოვნება (მხატვრობა, ლიტერატურა, მუსიკა, კინო)?



სავარჯიშოები 5-6 შეასრულე რვეულში.



დავალბა 7. ნახე ვიდეორჩანანერები – მოუსმინე არიას და მუსიკოსთა შესრულებას. უპასუხე შეკითხვებს:

2.02 2.03

რომელი ტექსტი შეესაბამება პირველ არიას?

რომელი ტექსტი შეესაბამება მეორე არიას?

I ტექსტი

ასრულებენ კლასიკურ მუსიკას.

მუსიკოსები უკრავენ არიას ვიოლინოსთვის, ფლეიტისა და ფორტეპიანოსთვის.

ეს არის ინსტრუმენტული არია.

II ტექსტი

ასრულებენ კლასიკურ მუსიკას. ბათუ კრავეიშვილი მღერის კოტეს არიას ოპერიდან „ქეთო და კოტე“. ეს არის ვოკალური (სასიმღერო) არია.

